მონა ყველაზე ახლოს არის თავის უფალთან, როცა ის ასრულებს სუჯუდს, ამიტომ ამ დროს უფრო ხშირად მიმართეთ ვედრებით

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მონა ყველაზე ახლოს არის თავის უფალთან, როცა ის ასრულებს სუჯუდს, ამიტომ ამ დროს უფრო ხშირად მიმართეთ ვედრებით».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მონა ყველაზე ახლოს არის თავის უფალთან მაშინ, როცა ის მიწაზე დაჩოქილია (სუჯუდში). რადგან მლოცველი დადებს თავის სხეულის ყველაზე პატივსაცემ და მაღალ ნაწილს მიწაზე, ამგვარად გამოხატავს მორჩილებას, თავმდაბლობასა და სიმდაბლეს ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის წინაშე, როდესაც ის სუჯუდს ასრულებს. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა, ხშირად მივმართოთ ალლაჰს ვედრებით სუჯუდის დროს, რითაც სიტყვებითა და ქმედებებით გამოვხატავთ სიმდაბლეს და მორჩილებას ალლაჰის წინაშე.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5382